ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N74

ქ.თბილისი 30 მაისი, 2025 წელი

16^{30}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ლევან აბაშიძე - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

ლევან არველაძე - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ნინო ვარდოსანიძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

ნიკოლოზ კახეთელიძე - გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

კახაბერ ლაბუჩიძე - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

შალვა ოგბაიძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ავთანდილ ცინცაძე - ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ჯაფარიძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები:

საბა ბუაძე - ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარე.

ოთარ გრიგოლია - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე.

საკრებულოს ბიუროს სხდომას ასევე ესწრებოდა საკრებულოს წევრი ლილე ლიპარტელიანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ საკითხი წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ საკრებულოს სიითი შემადგენლობის შემცირებიდან გამომდინარე, საკრებულოს კომისიებში განისაზღვრა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლის მიხედვით, საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა განისაზღვრა საკრებულოს 11 წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვრა შემდეგნაირად: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 6 წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 1 წევრი; ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ – 1 წევრი; ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1 წევრი. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულები არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვრათ 2 კვოტა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სიითი შემადგენლობის შემცირება გამოწვეულია საკრებულოს უმრავლესობის სამი წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით და შესაბამისად, გასაგებია, რატომ შეიძლებოდა შემცირებულიყო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტა ფრაქციისთვის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, თუმცა, გაუგებარია, რატომ მცირდება კვოტა ფრაქციისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი ფრაქციის წევრებს შეუწყდათ უფლებამოსილება, ფაქტია, შემცირდა საკრებულოს წევრთა რაოდენობა და შესაბამისად, საჭირო გახდა კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გადანაწილება.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ 2024 წელს, როდესაც ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო შვიდი წევრი, კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტა განსაზღვრული იყო ფრაქციის ორი წევრით და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფრაქციის წევრთა რაოდენობა იგივეა, გაუგებარი მიზეზით მცირდება კვოტა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ 2024 წლამდე, როდესაც ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო ცამეტი წევრი, საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტა განსაზღვრული იყო ფრაქციის სამი წევრით, ხოლო 2024 წელს, მას შემდეგ, რაც ფრაქციის წევრთა რაოდენობა გახდა შვიდი, კვოტა შემცირდა ორამდე. დღეს არსებული მდგომარეობით, მათ წარმომადგენლობაში არაფერი შეცვლილა, შეიცვალა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენლების რაოდენობა და შესაბამისად, გაუგებარია, რატომ მცირდება კვოტა ფრაქციისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ავთანდილ ცინცაძემ და კახაბერ ლაბუჩიძემ განმარტეს, რომ 2024 წელს შემცირდა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრთა რაოდენობა, ხოლო დღევანდელი

მდგომარეობით შემცირებულია საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რამაც გამოიწვია საკრებულოს კომისიებში წევრთა საერთო რაოდენობის შემცირება თერთმეტამდე, რაც, თავის მხრივ, იწვევს ფრაქციებისთვის კვოტების განსაზღვრას არსებული რეალობის საფუძველზე.

საბა ბუაძე დაინტერესდა, თუ რა პრინციპით ხდება საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა კომისიებში.

ნინო ვარდოსანიძემ განმარტა, რომ კვოტების განსაზღვრა ხდება სამართლიანობის და პროპორციულობის დაცვის პრინციპით, რომლის თანახმადაც, იქიდან გამომდინარე, რომ შემცირდა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობა, კომისიების წევრთა საერთო რაოდენობა ცამეტი წევრიდან მცირდება თერთმეტ წევრამდე და შესაბამისად, თითოეული ფრაქციისთვის და საკრებულოს დამოუკიდებელი წევრებისთვის განისაზღვრება ახალი კვოტები.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რის შემდეგაც გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები წარმოდგენილი სახით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე	ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	გიორგი ახვლედიანი

დანართი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 11 (თერთმეტი) საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 6 წევრი;
2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 1 წევრი;
3. ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ – 1 წევრი;
4. ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1 წევრი;

საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 2 (ორი) კვოტა.